

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შედგენილია (EC) No. 1907/2006 რეგულაციისა და (EC) No. 1272/2008 რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად



განახლების თარიღი 21-ნოემბერი-2022

განახლების ნომერი 1

პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი

პროდუქტის დასახელება	ბიომექტინი/BIOMECTIN
პროდუქტის კოდ(ებ)ი	TP.3000.I.1__ISR
ქიმიური სახელწოდება	აბამექტინი 18 ეკ
სუფთა ნივთიერება/ნარევი	ნარევი

1.2. ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდებული შეზღუდვები

რეკომენდებული გამოყენება	ინსექტიციდი, მხოლოდ პროფესიული გამოყენებისათვის
არადანიშნულებისამებრ გამოყენება	ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი

1.3. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელის მომწოდებლის მონაცემები

მწარმოებელი

“ტაპაზოლი ქემიკალ ვორკს ლტდ.”	Tapazol Chemical Works Ltd.
ქუჩა: ჰასოლელა 1,	1st HaSolela st.
დასავლეთ ინდუსტრიული ზონა	West. Ind. Zone
ბეთ-შემეში, 9905415 ისრაელი	Beit Shemesh, Israel 9905415
ტელ: +972-2-992-6040	
ფაქსი: +972-2-9926050	
დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ sds@tapazol.co.il	

1.4. საგანგებო სამსახურის ტელეფონის ნომერი

გადაუდებელი დახმარების ნომერი	+972 4 777 1900
	მოწამვლის შესახებ ინფორმაციის ეროვნული ინსტიტუტი რამბამის სამედიცინო ცენტრი, ჰაიფა, ისრაელი

პარაგრაფი 2. საფრთხეების იდენტიფიკაცია

2.1. ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

(EC) No 1272/2008 რეგულაცია

მწვავე ტოქსიკურობა –ორალური	კატეგორია 4 – (H302)
მწვავე ტოქსიკურობა – ინჰალაცია (მტვერი/ნისლი)	კატეგორია 4 – (H332)
კანის კოროზია/გაღიზიანება	კატეგორია 2 – (H315)
თვალის სერიოზული დაზიანება/თვალის გაღიზიანება	კატეგორია 2 – (H319)
რეპროდუქციული ტოქსიკურობა	კატეგორია 1B - (H360D)
სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა (ერთჯერადი ექსპოზიცია)	კატეგორია 3 – (H335)
სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა (განმეორებითი ექსპოზიცია)	კატეგორია 3 – (H373)
წყლის გარემოსათვის მწვავე ტოქსიკურობა	კატეგორია 1 – (H400)
წყლის გარემოსათვის ქრონიკული ტოქსიკურობა	კატეგორია 1 – (H410)

2.2. ეტიკეტის ელემენტები

შეიცავს 1-მეთილპიროლიდინ-2-ონს, განშტოებულ, ეთოქსილირებულ, 4-ნონილფენოლს, აბამექტინს



სასიგნალო სიტყვა

საშიშროება

საშიშროების შესახებ განცხადებები

- H302 – მავნეა გადაყლაპვისას
- H315 – იწვევს კანის გაღიზიანებას
- H319 – იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას
- H332 – მავნეა ჩასუნთქვისას
- H335 – შეიძლება გამოიწვიოს სასუნთქი გზების გაღიზიანება
- H360D – შეიძლება დააზიანოს მუცლად მყოფი ბავშვი
- H373 – შეიძლება გამოიწვიოს ორგანოების დაზიანება ხანგრძლივი ან განმეორებითი ზემოქმედებით
- H410 – ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის ხანგრძლივი ეფექტებით
- EUH401 – ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქციები

გამაფრთხილებელი განცხადებები – EU (§28, 1272/2008)

- P102 – შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე
- P201 – გამოყენებამდე მიიღეთ სპეციალური ინსტრუქციები
- P260 – არ შეისუნთქოთ მტვრი/კვამლი/აირი/ნისლი/ორთქლი/სპრეი
- P273 – თავიდან აიცილეთ გარემოში გაბნევა
- P280 – გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები/დამცავი ტანსაცმელი/სახის დამცავი/ თვალის დამცავი საშუალებები
- P304 + P340 - ჩასუნთქვის შემთხვევაში: გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე და ამყოფეთ სუნთქვისთვის კომფორტულ მდგომარეობაში
- P305+P351+P338 – თვალში მოხვედრისას: ფრთხილად გამოირეცხეთ წყლით რამოდენიმე წუთის განმავლობაში მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია. განაგრძეთ გამორეცხვა
- P310 – დაუყოვნებლივ დაუკავშირდით ტოქსიკოლოგიის ცენტრს ან ექიმს
- P391 – შეაგროვეთ დაღვრილი/დაფრქვეული პრეპარატი
- P403 + P233 – შეინახეთ კარგად განიავებად ადგილზე (სათავსოში), მჭიდროდ დახურულ ჭურჭელში
- P501 – შიგთავსის/ტარის უტილიზაცია მოახდინეთ ნებადართულ ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოში

დამატებითი ინფორმაცია

ეს პროდუქტი საჭიროებს ტაქტილურ გაფრთხილებებს, თუ ის მიეწოდება ფართო საზოგადოებას.
 ეს პროდუქტი საჭიროებს ბავშვებისათვის რთულად მოსახსნელ სამაგრებს, თუ ის მიეწოდება ფართო საზოგადოებას.
 SP 1-არ დააბინძუროთ წყლები პროდუქტით ან მისი ტარით (არ გაწმინდოთ გამოყენებული მოწყობილობა ზედაპირული წყლის სიახლოვეს / თავიდან აიცილეთ ფერმებიდან და გზებიდან სადრენაჟე სისტემებით დაბინძურება).

2.3. სხვა რისკები

ინფორმაცია ენდოკრინული დარღვევების შესახებ

ქიმიური სახელწოდება	EU -ენდოკრინული სისტემის დამრღვევები – კანდიდატა სია	EU - ენდოკრინული სისტემის დარღვევები - შეფასებული ნივთიერებები
აბამექტინი	III ჯგუფის ქიმიური ნივთიერება	-
4-ნონილფენოლი, განშტოებული, ეთოქსილირებული	III ჯგუფის ქიმიური ნივთიერება	-

პარაგრაფი 3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

3.1. ნივთიერებები

არ ექვემდებარება შევსებას.

3.2. ნარევი

ქიმიური სახელწოდება	EC-No	CAS No	მასა-%	კლასიფიკაცია (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად [CLP]
აბამექტინი	-	71751-41-2	1-3	მწვავე ტოქ. 2 (H300) მწვავე ტოქსიკურობის შეფასება (ATE) = 8.7-12.8 მგ/კგ (ორალური) მწვავე ტოქ. 1 (H330) ATE = 0.034-0.051 მგ/ლ/4სთ (ინჰალ.) STOT RE 1 (H372) რეპრ. 2 (H361d) წყლის მწვავე 1 (H400) M=10000 წყლის ქრონიკული 1 (H410) M=10000
ჰექსილის სპირტი	203-852-3	111-27-3	28-32	მწვავე ტოქ. 4 (H302)
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი	212-828-1	872-50-4	25-28	კანის გაღ. 2 (H315) თვალის გაღ. 2 (H319) რეპრ. 1B (H360D) STOT SE 3 (H335)
4-ნონილფენოლი, განშტოებული, ეთოქსილირებული	-	127087-87-0	6-11	მწვავე ტოქ. 4 (H302) მწვავე ტოქ. 4 (H332) თვალის დაზ. 1 (H318) წყლის ქრონიკული 2 (H411)

H- და EUH-ფრაზების სრული ტექსტი: იხილეთ მე-16 პარაგრაფი.

ეს პროდუქტი შეიცავს ერთ ან მეტ ძალიან მაღალი შემფოთების კანდიდატ ნივთიერებას (რეგულაცია (EC) No. 1907/2006 (REACH), მუხლი 59)

ქიმიური სახელწოდება	CAS No	SVHC კანდიდატები
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი	872-50-4	X
4-ნონილფენოლი, განშტოებული, ეთოქსილირებული	127087-87-0	X

პარაგრაფი 4. პირველადი დახმარების ზომები

4.1. პირველადი დახმარების ზომების აღწერა

ზოგადი რჩევები

აჩვენეთ ეს უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი მკურნალ ექიმს. აუცილებელია სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

ჩასუნთქვისას

თუ არ სუნთქავს, ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა. სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს. გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე. არ გამოიყენეთ "პირიდან პირში" ხელოვნური სუნთქვის მეთოდი თუ დაზარალებულმა ჩაყლაპა ან ჩაისუნთქა ნივთიერება; ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა სპეციალური „ჯიბის ნიღაბის“, რომელიც აღჭურვილია ცალმხრივი სარქველით ან სხვა სათანადო რესპირატორული სამედიცინო მოწყობილობის გამოყენებით. თუ სუნთქვა გაძნელებულია, (მხოლოდ კვალიფიციურმა პერსონალმა) ასუნთქეთ ჟანგბადი. სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. ექსპოზიციის ან შემფოთების შემთხვევაში: მიმართეთ ექიმს/მიიღეთ სამედიცინო რჩევა.

თვალში მოხვედრისას	სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს/მიიღეთ სამედიცინო რჩევა. დაუყოვნებლივ გამოირეცხეთ დიდი რაოდენობის გამდინარე წყლით, ქუთუთოების ქვეშაც, მინიმუმ 15 წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია. განაგრძეთ გამორეცხვა. გამორეცხვისას თვალები ფართოდ გაახილეთ. არ მოისრისოთ დაზიანებული ადგილი.
კანზე მოხვედრისას	დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ საპნითა და დიდი რაოდენობის წყლით 15 წუთის განმავლობაში. თუ კანის გაღიზიანება მწვავედება ან გრძელდება მიმართეთ ექიმს.
გადაყლაპვის შემთხვევაში	არ გამოიწვიოთ ღებინება. გამოირეცხეთ პირის ღრუ წყლით და ამის შემდეგ დალიეთ დიდი რაოდენობის წყალი. არასოდეს გადაყლაპოთ არაფერი უგონო მდგომარეობაში მყოფ ადამიანს. დაუყოვნებლივ დაუკავშირდით ტოქსიკოლოგიის ცენტრს ან ექიმს.
პირველადი დახმარების აღმომჩენი პირების თავდაცვა	დარწმუნდით, რომ სამედიცინო პერსონალი ინფორმირებულია გამოყენებული ნივთიერებების შესახებ, დაიცავით სიფრთხილის ზომები თვითდაცვისათვისა და დაზინძურების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. არ ჩაისუნთქოთ ორთქლი ან ნისლი. არ გამოიყენეთ "პირიდან პირში" ხელოვნური სუნთქვის მეთოდი თუ დაზარალებულმა ჩაყლაპა ან ჩაისუნთქა ნივთიერება; ჩატარეთ ხელოვნური სუნთქვა სპეციალური „ჯიბის ნიღაბის“, რომელიც აღჭურვილია ცალმხრივი სარქველით ან სხვა სათანადო რესპირატორული სამედიცინო მოწყობილობის გამოყენებით. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. იხილეთ მე-8 პარაგრაფი დამატებითი ინფორმაციისათვის.

4.2 ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე გვიანი სიმპტომები და შედეგები

სიმპტომები ხველა და/ან ხიხინი. სუნთქვის გამწვანება. წვის შეგრძნება.

4.3 ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სპეციალური მკურნალობის აუცილებლობის ჩვენება

მითითება ექიმს მკურნალობა ტარდება სიმპტომურად.

5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

5.1. ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები	გამოიყენეთ ადგილობრივი გარემოებებისა და შემოგარენის შესაბამისი ხანძრის ჩაქრობის ღონისძიებები.
მცირე ხანძარი	მშრალი ქიმიური ფხვნილი. ნახშირორჟანგი (CO ₂), გაფრქვეული წყლის ნაკადი ან ჩვეულებრივი ქაფი.
დიდი ხანძარი	გაფრქვეული წყლის ნაკადი, ნისლი ან ჩვეულებრივი ქაფი. ხანძარს ჩასაქრობად გამოყენებული წყალი შეაგროვეთ თხრილების/ჯებირების გამოყენებით შემდგომი უტილიზაციისათვის. გაიტანეთ კონტეინერები ხანძრის ზონიდან, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოდ არის შესაძლებელი.

ხანძრის ჩაქრობის შეუსაბამო საშუალებები არ გაფანტოთ დაღვრილი მასალა მაღალი წნევის წყლის ჭავლით.

5.2. ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

5.3. რეკომენდაციები მეხანძრეებისათვის

სპეციალური დამცავი აღჭურვილობა მეხანძრეებისათვის

მეხანძრე მაშველმა უნდა გამოიყენოს ინდივიდუალური სასუნთქი მოწყობილობა და ხანძრის ჩაქრობისათვის აუცილებელი სრული აღჭურვილობა. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

პარაგრაფი 6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

6.1. პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები

პირადი უსაფრთხოების ზომები

უზრუნველყავით ადეკვატური განიავება. თავიდან აიცილეთ პრეპარატის თვალში, კანზე და ტანსაცმელზე მოხვედრა. არ ჩაისუნთქოთ ორთქლი ან ნისლი. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. უზრუნველყავით პერსონალის უსაფრთხო ადგილზე ევაკუაცია. ადამიანები ამყოფეთ დაღვრის/გაფანტვის ადგილიდან შორს და ქარპირა მხარეს.

დამატებითი ინფორმაცია

იხილეთ მე-7 და მე-8 პარაგრაფში ჩამოთვლილი დამცავი ღონისძიებები.

საგანგებო სიტუაციების მაშველებისათვის

გამოიყენეთ მე-8 პარაგრაფში რეკომენდებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

6.2. გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

თავიდან აიცილეთ შემდგომი დაღვრა ან გაჟონვა, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოდ არის შესაძლებელი.

6.3. გაგრძელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

გაგრძელების ლოკალიზაციის მეთოდები

თავიდან აიცილეთ შემდგომი დაღვრა ან გაჟონვა, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოდ არის შესაძლებელი. არ უნდა მოხდეს გარემოში გაზნევა. არ დაუშვათ ნიადაგში/ქვენიდაგში შეღწევა. თავიდან აიცილეთ პრეპარატის საკანალიზაციო სისტემებში მოხვედრა.

დასუფთავების მეთოდები

შეაგროვეთ მექანიკურად, მოათავსეთ შესაბამის კონტეინერებში შემდგომი უტილიზაციისათვის.

მეორადი საფრთხეების პრევენცია

სრულყოფილად გაასუფთავეთ დაბინძურებული საგნები და ტერიტორიები გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვით.

6.4 მითითება სხვა პარაგრაფებზე

მითითება სხვა პარაგრაფებზე

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-8 პარაგრაფი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-13 პარაგრაფი.

პარაგრაფი 7. შენახვისა და გამოყენების პირობები

7.1. სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები გამოყენების დროს

უსაფრთხო გამოყენების რჩევები

გამოიყენეთ კარგი სამრეწველო ჰიგიენისა და უსაფრთხოების პრაქტიკის შესაბამისად. თავიდან აიცილეთ პრეპარატის კანთან, თვალებში და ტანსაცმელზე მოხვედრა. არ ჩაისუნთქოთ ორთქლი ან ნისლი. არასაკმარისი განიავების შემთხვევაში გამოიყენეთ შესაბამისი სასუნთქი გზების დამცავი საშუალებები. დაამუშავეთ პროდუქტი

მხოლოდ დახურულ სისტემაში ან უზრუნველყოთ შესაბამისი გამწოვი ვენტილაცია. ამ პრეპარატის გამოყენების დროს აკრძალულია საკვების მიღება, დალევა ან თამბაქოს მოწევა. გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და გარეცხეთ ხელახლა გამოყენებამდე. მოიშორეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

ძირითადი ჰიგიენური მოთხოვნები

თავიდან აიცილეთ პრეპარატის კანთან, თვალბში და ტანსაცმელზე მოხვედრა. არ ჩაისუნთქოთ ორთქლი ან ნისლი. ატარეთ სათანადო ხელთათმანები და თვალის/სახის დამცავი საშუალებები. ამ პრეპარატის გამოყენების დროს აკრძალულია საკვების მიღება, დალევა ან თამბაქოს მოწევა. გაიხადეთ და გარეცხეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და ხელთათმანები, მათ შორის უკუღმა მხარე, ხელახლა გამოყენებამდე. დაბინძურებული სამუშაო ტანსაცმელი არ უნდა გაიტანოთ სამუშაო ადგილიდან. რეკომენდებულია აპარატურის, სამუშაო ტერიტორიისა და ტანსაცმლის რეგულარული წმენდა/გასუფთავება. შესვენების დაწყებამდე და პროდუქტის გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები.

7.2 უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით

შენახვის პირობები

შეინახეთ ჰერმეტიკულად თავდახურულ ტარაში მშრალ, გრილ და კარგად განიავებად ადგილზე. შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე. შეინახეთ ჩაკეტილ სათავსოში.

7.3 კონკრეტული საბოლოო გამოყენება

რისკებისმართვის მეთოდები (RMM)

პროდუქტის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია მოცემულია ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში.

პარაგრაფი 8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

8.1 კონტროლის პარამეტრები

ექსპოზიციის (ზემოქმედების) ზღვრები

ქიმიური სახელწოდება	ევროკავშირი	ავსტრია	ბელგია	ნიდერლანდები	ბულგარეთი
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი 872-50-4	TWA: 10 ppm TWA: 40 მგ/მ ³ STEL: 20 ppm STEL: 80 მგ/მ ³ *	TWA: 10 ppm TWA: 40 მგ/მ ³ STEL 20 ppm STEL 80 მგ/მ ³ H* კანის სენსიბილიზატორი	TWA: 10 ppm TWA: 40 მგ/მ ³ STEL: 20 ppm STEL: 80 მგ/მ ³ *	TWA: 40 მგ/მ ³ STEL: 80 მგ/მ ³ H*	STEL: 20 ppm STEL: 80 მგ/მ ³ TWA: 10 ppm TWA: 40 მგ/მ ³ K*
ქიმიური სახელწოდება	დანია	გერმანია	საფრანგეთი	გაერთიანებული სამეფო	ესპანეთი
ჰექსილის სპირტი 111-27-3	–	TWA: 25 ppm TWA: 105 მგ/მ ³	–	–	–
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი 872-50-4	TWA: 5 ppm TWA: 20 მგ/მ ³ H*	TWA: 20 ppm TWA: 82 მგ/მ ³ H*	TWA: 40 მგ/მ ³ TWA: 10 ppm STEL: 80 მგ/მ ³ STEL: 20 ppm	TWA: 10 ppm TWA: 40 მგ/მ ³ STEL: 20 ppm STEL: 80 მგ/მ ³ Sk*	TWA: 10 ppm TWA: 40 მგ/მ ³ STEL: 20 ppm STEL: 80 მგ/მ ³ via dérmica*

სამუშაო ადგილზე ბიოლოგიური ზემოქმედების ზღვრები

ქიმიური სახელწოდება	ევროკავშირი	ავსტრია	ბულგარეთი	ხორვატია	ჩეხეთის რესპუბლიკა
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი 872-50-4	-	-	-	20 მგ/გ - კრეტინინი - შარდი (2-ჰიდროქსი-N-მეთილ-სუქცინიმიდი) -სამუშაო ცვლის დასრულებიდან დაახლოებით 16 საათის შემდეგ 70 მგ/გ კრეტინინი - შარდი (5-ჰიდროქსი-N-მეთილ-2-პიროლიდონი) - 2-4 ჯერ სამუშაო ცვლის/შესვენების შემდეგ	-
ქიმიური სახელწოდება	დანია	ფინეთი	საფრანგეთი	გერმანია	გერმანია MAK
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი 872-50-4	-	-	-	150 მგ/ლ (შარდი - 5-ჰიდროქსი-N-მეთილ-2-პიროლიდონი ცვლის ბოლო) 150 მგ/ლ - BAT (ექსპოზიციის დასასრული ან ცვლის დასასრული) შარდი	150 მგ/ლ (შარდი - 5-ჰიდროქსი-N-მეთილ-2-პიროლიდონი ცვლის დასასრული)
ქიმიური სახელწოდება	უნგრეთი	ირლანდია		იტალია	იტალია REL
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი 872-50-4	-	20 მგ/გ - კრეტინინი - (შარდი -2-ჰიდროქსი-N-მეთილ-სუქცინიმიდი დილა ცვლის შემდეგ (8 საათი)) 70 მგ/გ - კრეტინინი (შარდი -5-ჰიდროქსი-N-მეთილ-2-პიროლიდონი 2-4 საათი ცვლის დასრულების შემდეგ)		-	100 მგ/ლ (შარდი - 5-ჰიდროქსი-N-მეთილ-2-პიროლიდონი) - ცვლის დასასრული
ქიმიური სახელწოდება	სლოვენია	ესპანეთი		შვეიცარია	გაერთიანებული სამეფო
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი 872-50-4	150 მგ/ლ (შარდი-5-ჰიდროქსი-N-მეთილ-2-პიროლიდონი) სამუშაო ცვლის ბოლოს	20 მგ/გ - კრეტინინი - (შარდი -2-ჰიდროქსი-N-მეთილ-სუქცინიმიდი ცვლამდე) 70 მგ/გ - კრეტინინი (შარდი -5-ჰიდროქსი-N-მეთილ-2-პიროლიდონი 2-4 საათი ბოლო ექსპოზიციის შემდეგ)		-	-

8.2. ექსპოზიციის კონტროლი

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

თვალების/სახის დაცვა

მჭიდროდ მორგებული დამცავი სათვალე.

ხელების დაცვა

ატარეთ სათანადო დამცავი ხელთათმანები. გაუმტარი ხელთათმანები.

კანისა და სხეულის დაცვა

ჩაიცვით სათანადო დამცავი ტანსაცმელი. გრძელმკლავიანი ტანსაცმელი.

სასუნთქი ორგანოების დაცვა

დასაშვებზე მაღალი კონცენტრაციების დროს მომუშავე პირებმა უნდა გამოიყენონ შესაბამისი სერტიფიცირებული რესპირატორები.

ძირითადი ჰიგიენური მოთხოვნები

თავიდან აიცილეთ პრეპარატის კანთან, თვალებში და ტანსაცმელზე მოხვედრა. არ ჩაისუნთქოთ ორთქლი ან ნისლი. ატარეთ სათანადო ხელთათმანები და თვალის/სახის დამცავი საშუალებები. ამ პრეპარატის გამოყენების დროს აკრძალულია საკვების მიღება, დალევა ან თამბაქოს მოწევა. გაიხადეთ და გარეცხეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და ხელთათმანები, მათ შორის უკუღმა მხარე, ხელახლა გამოყენებამდე. დაბინძურებული სამუშაო ტანსაცმელი არ უნდა გაიტანოთ სამუშაო ადგილიდან. რეკომენდებულია აპარატურის, სამუშაო ტერიტორიისა და ტანსაცმლის რეგულარული წმენდა/გასუფთავება. შესვენების დაწყებამდე და პროდუქტის გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები.

პარაგრაფი 9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე

<p>ფიზიკური მდგომარეობა ფერი სუნი</p>	<p>თხევადი ღიადან მუქ ყავისფრამდე ნახშირწყალბადების მსგავსი</p>	
<p>თვისებები pH pH (წყალხსნარის) ლღობის ტემპერატურა/გაყინვის ტემპერატურა დუღილის ტემპერატურა /დუღილის დიაპაზონი აალების წერტილი აორთქლების სიჩქარე აალებადობა (მყარი, გაზი) აალებადობის ზღვარი ჰაერში აალებადობისა და ფეთქებადობის ზედა ზღვარი აალებადობისა და ფეთქებადობის ქვედა ზღვარი</p>	<p>მნიშვნელობა 2.6 – 3.6 მონაცემები არ არის 71.2 °C მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი 1.0 - 1.1 წარმოქმნის ემულსიას მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი < 20 მმ²/წმ მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი</p>	<p>შენიშვნები • მეთოდი (1%-იანი ხსნარი)</p>
<p>ორთქლის წნევა ორთქლის სიმკვრივე ფარდობითი სიმკვრივე წყალში ხსნადობა ხსნადობა განაწილების კოეფიციენტი თვითაალების ტემპერატურა დაშლის ტემპერატურა კინემატიკური სიბლანტე დინამიკური სიბლანტე</p>	<p>მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი 1.0 - 1.1 წარმოქმნის ემულსიას მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი < 20 მმ²/წმ მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი</p>	

9.2. დამატებითი ინფორმაცია

პარაგრაფი 10. სტაბილურობა და რეაქტიულობა

10.1. რეაქტიულობა

10.2. ქიმიური მდგრადობა

სტაბილურობა სტაბილურია ნორმალურ პირობებში

ფეთქებადობის მონაცემები
 მგრძნობელობა მექანიკური ზემოქმედების მიმართ არანაირი.
 მგრძნობელობა სტატიკური გამონადენის მიმართ არანაირი.

10.3. სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა

სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა ნორმალურ პირობებში დამუშავებისას არცერთი.

10.4. ასარიდებელი გარემოებები

ასარიდებელი გარემოებები გადაჭარბებული სიცხე.

10.5. შეუთავსებელი მასალები

შეუთავსებელი მასალები ძლიერი მჟავები. ძლიერი ფუძეები. ძლიერი დამჟანგველი აგენტები.

10.6. საშიში დაშლის პროდუქტები

საშიში დაშლის პროდუქტები არ არის ცნობილი მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

პარაგრაფი 11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

11.1. ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ

პერორალური LD50 300-2000 მგ/კგ. მწვავე ტოქ. 4 (H302). კლასიფიკაცია ეყრდნობა ექსპერიმენტულ მონაცემებს.

დერმალური LD50 >2000 მგ/კგ. არსებული მონაცემებზე დაყრდნობით, არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

ინჰალაციური LC50 მწვავე ტოქ. 4 (H332). კლასიფიკაცია ეყრდნობა გაანგარიშების მეთოდს.

კანის კოროზია/გალიზიანება H315 – იწვევს კანის გალიზიანებას. კლასიფიკაცია ეყრდნობა გაანგარიშების მეთოდს.

თვალის სერიოზული დაზიანება/თვალის გალიზიანება H319 – იწვევს თვალის სერიოზულ გალიზიანებას. კლასიფიკაცია ეყრდნობა ექსპერიმენტულ მონაცემებს.

რესპირატორული ან კანის სენსიბილიზაცია არ იწვევს კანის სენსიბილიზაციას. არსებული მონაცემებზე დაყრდნობით, არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

სასქესო უჯრედების მუტაგენურობა

ქიმიური სახელწოდება	ევროკავშირი
აბამექტინი	არ კლასიფიცირდება
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი	არ კლასიფიცირდება

კანცეროგენულობა

ქიმიური სახელწოდება	ევროკავშირი
აბამექტინი	არ კლასიფიცირდება
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი	არ კლასიფიცირდება

რეპროდუქციული ტოქსიკურობა

ქიმიური სახელწოდება	ევროკავშირი
აბამექტინი	რეპრ. 2 (H361d)
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი	რეპრ. 1B (H360D)

STOT – ერთჯერადი ექსპოზიცია

კატ. 3 (H335) – შეიძლება გამოიწვიოს სასუნთქი გზების გაღიზიანება. კლასიფიკაცია ეყრდნობა გაანგარიშების მეთოდს.

STOT – განმეორებითი ექსპოზიცია

კატ. 2 (H373) - შეიძლება გამოიწვიოს ორგანოების დაზიანება ხანგრძლივი ან განმეორებითი ზემოქმედებით. კლასიფიკაცია ეყრდნობა გაანგარიშების მეთოდს.

ასპირაციის საფრთხე

არ კლასიფიცირდება. (გაანგარიშების მეთოდზე დაყრდნობით არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს).

პარაგრაფი 12. ეკოლოგიური ინფორმაცია

12.1. ტოქსიკურობა

ეკოტოქსიკოლოგია

H400 – ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის. კლასიფიკაცია ეყრდნობა გაანგარიშების მეთოდს.
 H410 – ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის ხანგრძლივი ეფექტებით. კლასიფიკაცია ეყრდნობა გაანგარიშების მეთოდს.
 ძალიან ტოქსიკურია მეთაფლე ფუტკრების მიმართ.

ქიმიური სახელწოდება	წყალმცენარეები/წყლის მცენარეები	თევზები	მიკროორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა	კიბოსნაირები
აბამექტინი	მონაცემი არა არის	მწვავე ტოქსიკურობა: LC50 = 0.0036 მგ/ლ: ქრონიკული ტოქსიკურობა: NOEC =0.00052 მგ/ლ	მწვავე ტოქსიკურობა: LC50 = 0.00002 მგ/ლ: ქრონიკული ტოქსიკურობა: NOEC: 0.0000035 მგ/ლ	მწვავე ტოქსიკურობა: LC50 = 0.00012 მგ/ლ: ქრონიკული ტოქსიკურობა: NOEC: 0.00001 მგ/ლ

12.2. მდგრადობა და დეგრადაცია

მდგრადობა და დეგრადაცია

არ არის ადვილად ბიოდეგრადირებადი. [აბამექტინი].

12.3 ბიოაკუმულაციის პოტენციალი

ბიოაკუმულაცია

აბამექტინი არ განიცდის მნიშვნელოვან ბიოაკუმულაციას. log Kow 4.4 pH 7.2 დროს 20 °C-ზე.

ბიოკონცენტრაციის ფაქტორი (BCF)

52 ლ/კგ

კომპონენტების შესახებ ინფორმაცია

ქიმიური სახელწოდება	განაწილების კოეფიციენტი
აბამექტინი	3.7
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი	-0.46

12.4. მიგრაცია /მოხილურობა ნიადაგში

მოხილურობა ნიადაგში

აბამექტინი შეიძლება ჩაითვალოს როგორც ნიადაგში არამოხილური.

12.5. PBT და vPvB შეფასების შედეგები

PBT და vPvB შეფასებები

პრეპარატში შემავალი კომპონენტები არ აკმაყოფილებს PBT ან vPvB კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

ქიმიური სახელწოდება	PBT და vPvB შეფასება
აბამექტინი	ნივთიერება არ არის PBT/vPvB
ჰექსილის სპირტი	ნივთიერება არ არის PBT/vPvB
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი	ნივთიერება არ არის PBT/vPvB
4-ნონილფენოლი, განშტოებული, ეთოქსილირებული	ნივთიერება არ არის PBT/vPvB

12.6. სხვა არახელსაყრელი ეფექტები

ინფორმაცია ენდოკრინული დარღვევების შესახებ

ქიმიური სახელწოდება	EU -ენდოკრინული სისტემის დამრღვევები – კანდიდატა სია	EU - ენდოკრინული სისტემის დარღვევები - შეფასებული ნივთიერებები
აბამექტინი	III ჯგუფის ქიმიური ნივთიერება	-
4-ნონილფენოლი, განშტოებული, ეთოქსილირებული	III ჯგუფის ქიმიური ნივთიერება	-

პარაგრაფი 13. განკარგვა/უტილიზაცია

13.1. გამოუსადეგარი ნარჩენები/გამოუყენებელი პროდუქტი

ნარჩენები/გამოუყენებელი პროდუქტები

უტილიზაცია ადგილობრივი წესების შესაბამისად. ნარჩენების უტილიზაცია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაბინძურებული ტარა

არ გამოიყენოთ პრეპარატის ცარიელი ტარა ხელმეორედ.

პარაგრაფი 14. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

MDG

- 14.1. UN (გაეროს) ნომერი: 3082
- 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, თხევადი, n.o.s. [აბამექტინი]
- 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას 9
- 14.4. შეფუთვის ჯგუფი III
- 14.5. ზღვის დამაბინძურებელი არის
- ეკოლოგიური საფრთხეები არის
- 14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის არცერთი
- სპეციალური დებულებები

14.7. დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად

RID

14.1. UN (გაეროს) ნომერი:	3082
14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი	ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, თხევადი, n.o.s. [აბამექტინი]
14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას	9
14.4. შეფუთვის ჯგუფი	III
14.5. ეკოლოგიური საფრთხეები	არის
14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის	
სპეციალური დებულებები	არცერთი

ADR

14.1. UN (გაეროს) ნომერი:	3082
14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი	ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, თხევადი, n.o.s. [აბამექტინი]
14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას	9
14.4. შეფუთვის ჯგუფი	III
14.5. ეკოლოგიური საფრთხეები	არის
14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის	
სპეციალური დებულებები	არცერთი

IATA

14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი:	3082
14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი	ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, თხევადი, n.o.s. [აბამექტინი]
14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას	9
14.4. შეფუთვის ჯგუფი	III
14.5. ეკოლოგიური საფრთხეები	არის
14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის	
სპეციალური დებულებები	არცერთი

პარაგრაფი 15. მარეგულირებელი ინფორმაცია

15.1. ნივთიერებისა და ნარეგებისათვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/ კანონმდებლობა

ეროვნული რეგულაციები

საფრანგეთი

პროფესიული დაავადებები (R-463-3, საფრანგეთი)

ქიმიური სახელწოდება	საფრანგეთის RG ნომერი	სახელი
ჰექსილის სპირტი 111-27-3	RG 84	-
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი 872-50-4	RG 84	-

გერმანია

წყლის საშიშროების კლასი (WGK)

წყლისთვის ოდნავ საშიში (WGK 1)

ევროკავშირი

გაითვალისწინეთ 98/24/EC დირექტივა სამუშაო ადგილზე ქიმიურ აგენტებთან დაკავშირებული რისკებისაგან მომუშავე პერსონალის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

გამოყენების ნებართვები და/ან შეზღუდვები:

ეს პროდუქტი შეიცავს ავტორიზაციას დაქვემდებარებულ ერთ ან მეტ ნივთიერებას ((EC) No. 1907/2006 რეგულაცია (REACH), დანართი XIV)

ეს პროდუქტი შეიცავს შეზღუდვას დაქვემდებარებულ ერთ ან მეტ ნივთიერებას ((EC) No. 1907/2006 რეგულაცია (REACH), დანართი XVII)

ქიმიური სახელწოდება	შეზღუდული ნივთიერება REACH დანართი XVII-ის შესაბამისად	ნაერთი, რომელიც ექვემდებარება ავტორიზაციას REACH XIV დანართის შესაბამისად
1-მეთილპიროლიდინ-2-ონი 872-50-4	72. 30. 71.	
4-ნონილფენოლი, განშტოებული, ეთოქსილირებული – 127087-87-0		X

მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები

არ გამოიყენება

მოთხოვნები ექსპორტის შეტყობინების შესახებ

ეს პროდუქტი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც რეგულირდება საშიში ქიმიური ნივთიერებების ექსპორტისა და იმპორტის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) No. 649/2012 რეგულაციის შესაბამისად

ქიმიური სახელწოდება	ექსპორტი/იმპორტზე ევროპული შეზღუდვები (EC) 689/2008 - დანართის შესაბამისად ნომერი
4-ნონილფენოლი, განშტოებული, ეთოქსილირებული – 127087-87-0	I.1 I.2

საშიში ნივთიერების კატეგორია სევესო დირექტივის (2012/18/EU) მიხედვით

H2 - მწვავე ტოქსიკური

E2 - წყლის გარემოს მიმართ საშიში კატეგორიაში მწვავე 1 ან ქრონიკული 1.

ოზონის დამშლელი ნივთიერებების (ODS) რეგულაცია (EC) 1005/2009

არ გამოიყენება

საერთაშორისო რეესტრები

TSCA	რეესტრის შესაბამისობის სტატუსისათვის დაუკავშირდით მომწოდებელს
DSL/NDSL	რეესტრის შესაბამისობის სტატუსისათვის დაუკავშირდით მომწოდებელს
EINECS/ELINCS	რეესტრის შესაბამისობის სტატუსისათვის დაუკავშირდით მომწოდებელს
ENCS	რეესტრის შესაბამისობის სტატუსისათვის დაუკავშირდით მომწოდებელს
IECSC	რეესტრის შესაბამისობის სტატუსისათვის დაუკავშირდით მომწოდებელს
KECL	რეესტრის შესაბამისობის სტატუსისათვის დაუკავშირდით მომწოდებელს
PICCS	რეესტრის შესაბამისობის სტატუსისათვის დაუკავშირდით მომწოდებელს
AICS	რეესტრის შესაბამისობის სტატუსისათვის დაუკავშირდით მომწოდებელს

პირობითი ნიშნების განმარტება:

TSCA - შეერთებული შტატების ტოქსიკური ნივთიერებების კონტროლის აქტის პარაგრაფი 8(ბ)

DSL/NDSL - კანადური ადგილობრივი წარმოების ნივთიერებების სია/ არაადგილობრივი ნაერთების სია

EINECS/ELINCS არსებული ქიმიური ნივთიერებების ევროპული რეესტრი/ნოტიფიცირებულ ქიმიურ ნივთიერებათა ევროპული ჩამონათვალი

ENCS - არსებული და ახალი იაპონური ქიმიური ნივთიერებები

IECSC - არსებული ქიმიური ნივთიერებების ჩინური რეესტრი

KECL - კორეაში არსებული და შეფასებული ქიმიური ნივთიერებები

PICCS - ქიმიკატებისა და ქიმიური ნივთიერებების ფილიპინური რეესტრი

AICS - ქიმიური ნივთიერებების ავსტრალიური რეესტრი

15.2 ქიმიური უსაფრთხოების შეფასება

პარაგრაფი 16. დამატებითი ინფორმაცია

უსაფრთხოების მონაცემების ფურცელში გამოყენებული აბრევიატურების და აკრონიმების განმარტება

მე-3 პარაგრაფში მოხსენებული H ფრაზების სრული ტექსტი

- H300 – სასიკვდილოა გადაყლაპვისას
- H302 – მავნეა გადაყლაპვისას
- H315 – იწვევს კანის გაღიზიანებას
- H318 – იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას
- H319 – იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას
- H330 – სასიკვდილოა ჩასუნთქვისას
- H332 – მავნეა ჩასუნთქვისას
- H335 – შეიძლება გამოიწვიოს სასუნთქი გზების გაღიზიანება
- H336 – შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა ან თავბრუსხვევა
- H360D – შეიძლება დააზიანოს მუცლად მყოფი ბავშვი
- H361d – სავარაუდოდ იწვევს მუცლადმყოფი ბავშვის დაზიანებას
- H372 – იწვევს ორგანოების დაზიანება ხანგრძლივი ან განმეორებითი ზემოქმედებით
- H400 – ძლიერ ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის
- H410 – ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის ხანგრძლივი ეფექტებით
- H411 – ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის ხანგრძლივი ეფექტებით

განმარტება

SVHC: ავტორიზაციისათვის ძალიან დიდი შემფოთების ნივთიერებები:

პირობითი აღნიშვნები მე-8 პარაგრაფი ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

TWA	(TWA) დროში გასაშუალოებული ზემოქმედება	STEL	STEL (მოკლევადიანი ექსპოზიციის ზღვარი)
ზღვარი	მაქსიმალური ზღვრული მნიშვნელობა	*	მითითება კანზე

კლასიფიკაციის პროცედურა

- H302 – კლასიფიკაცია ეყრდნობა ექსპერიმენტულ მონაცემებს
- H315 – კლასიფიკაცია ეყრდნობა გაანგარიშების მეთოდს
- H319 – კლასიფიკაცია ეყრდნობა ექსპერიმენტულ მონაცემებს
- H332 – კლასიფიკაცია ეყრდნობა გაანგარიშების მეთოდს
- H335 – კლასიფიკაცია ეყრდნობა გაანგარიშების მეთოდს
- H360D – კლასიფიკაცია ეყრდნობა გაანგარიშების მეთოდს
- H336 – კლასიფიკაცია ეყრდნობა გაანგარიშების მეთოდს
- H400 – კლასიფიკაცია ეყრდნობა გაანგარიშების მეთოდს
- H410 – კლასიფიკაცია ეყრდნობა გაანგარიშების მეთოდს

ძირითადი ლიტერატურა და წყაროები უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის შესადგენად გამოყენებული მონაცემებისათვის

- ტოქსიკური ნივთიერებებისა და დაავადებების აღწერის სააგენტო (ATSDR)
- აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტოს ChemView მონაცემთა ბაზა
- ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტო (EFSA)
- EPA (გარემოს დაცვის სააგენტო)
- მწვავე ექსპოზიციის რეკომენდებული დონე(ები) (AEGL(s))
- აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტოს ფედერალური აქტი ინსექტიციდების, ფუნგიციდებისა და როდენტოციდების შესახებ
- აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტო, მაღალი მოცულობით წარმოებული ქიმიური ნივთიერებები
- სურსათის კვლევის ჟურნალი
- საშიში ნივთიერებების მონაცემთა ბაზა
- საერთაშორისო ერთიანი ქიმიური ინფორმაციის მონაცემთა ბაზა (IUCLID)
- იაპონიის გლობალური ჰარმონიზებული სისტემის (GHS) კლასიფიკაცია
- ავსტრალიის ეროვნული სამრეწველო ქიმიკატების შეტყობინებებისა და შეფასების სქემა (NICNAS)
- NIOSH (შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი)
- მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკა ChemID Plus (NLM CIP)
- მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკის PubMed მონაცემთა ბაზა (NLM PUBMED)

ტოქსიკოლოგიის ეროვნული პროგრამა (NTP)

ახალი ზელანდიის ქიმიური კლასიფიკაციისა და ინფორმაციის მონაცემთა ბაზა (CCID)

გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პუბლიკაციები

მაღალი მოცულობით წარმოებული ქიმიკატების შესახებ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პროგრამა

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სკრინინგის ინფორმაციის მონაცემთა ნაკრები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

განახლების თარიღი

21-ნოემბერი-2022

ეს ნივთიერებათა უსაფრთხოების მონაცემების ფურცელი შეესაბამება (EC) No. 1907/2006 რეგულაციის მოთხოვნებს.

პასუხისმგებლობის უარყოფა

ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში წარმოდგენილი ინფორმაცია სწორია ჩვენი ცოდნის, ინფორმაციისა და კომპეტენციის ფარგლებში მისი გამოქვეყნების თარიღისათვის. აღნიშნული ინფორმაცია არის მხოლოდ უსაფრთხოდ მოხმარების, გამოყენების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და განკარგვის შესახებ სახელმძღვანელო და არ განიხილება როგორც გარანტია ან ხარისხის სპეციფიკაცია. აღნიშნული ინფორმაცია ეხება უშუალოდ კონკრეტულ პრეპარატს და ის შეიძლება არ იყოს სარწმუნო, თუ პრეპარატი გამოიყენება სხვა მასალებთან კომბინაციაში ან რაიმე სხვა პროცესებში და ეს არ არის მითითებული ტექსტში.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი დასასრული